№ 171 18 მარიამობისთვე შაბათი 1866—1879 18 მარიამობისთვე შაბათი № 171

დროება

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

ბაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. ჩვეულებრივის ციცერონთი— 5 კაპ., პატარათ— 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შემოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა „დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადოვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით—ხუთი მანეთი.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ვენა, 25 აგვისტოს. ბრაფი ანდრაში მიდის ბასტეიაში თავად ბისმარკთან მოსალაპარაკებლად. ბოსნიაში და ბერცოგოვინაში ჯარების კამანდირი იოვანოვიჩი თავის ნება-ყოფლობით (თხოვნით) დათხოვნილია; იმის მოადგილეთ დანიშნულია ფელდმარშალი ბარონ როლენი.

ბერლინი, 27 აგვისტოს. აქაური გაზეთი გვაცნობებს, რომ ღრაფმა ანდრაშიმ წინადადება მისცა იმპერატორს ფრანც-იოსებს, რომ იმის მოადგილეთ დანიშნოს ბარონი ბაიმერლე. თუ ეს წინადადება მიღებულ იქმნა, მაშინ ღრაფი ალლაი დაიჭერს უცხო საქმეთა მინისტრის თანაშემწის ადგილს.

ბერლინი, 25 აგვისტოს. აქაურმა ოფიციალურმა გაზეთებმა მიიღეს თხოვნა, რომ თავად ბორჩაკოზედ მოსპონ მტრობა. ფელდმარშალი მანტეიფელი 28 აგვისტოს მხლებლებით მივა ვარშავაში, სადაც ჩვენს იმპერატორს შესხმას მოახსენებს იმპერატორის ვილჰელმის მაგივრად.

კეტერბურღის ბირჟა, 14 აგვისტოს

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის	— 95	—25
მეორე — — —	— 93	—25
მესამესი — —	— 93	—50
მეოთხესი — —	— 93	—25
აღმოსავლეთის პირ.	— 92	—50
აღმოსავლეთის მეორე	— 92	—12
აღმოსავლეთის, მესამე	— „	— „
ოქრო, ½ იმპერიალი	— 7	—99
თფილ. თავად-აზნ. ბანკის		
გირაოს ფურცელი	— „	— „

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

	მან.	კაპ.
პირველი სესხის—	— 232	—25
მეორე სესხის —	— 232	—25

ფელეტონი

ახალციხური ფელეტონი

(მაგრძელება)

რა საფარ-ფაშა მობრუნდა გამაჰმადიანებული ქოსტანდინეპოლიდგან მოვიდა ახალციხეს, თან მოიყვანა მაჰმადის სარწმუნოების მაერცელებელი მოლლა, იმამები ყად-მუფთებითა. ამათი პირველი ღონისძიება ეს იქმნა, რომ ახალციხის მკვიდრნი ქრისტიანენი, მდგმურნი ხიდის ყურითგან მოკიდებული მრთელ ძველ ქალაქში ციხის გარემოს ჩამოსელამდის მოფენილნი, აჭყარეს და გარეთ უბნებში გარდასახლეს: მარდას, ხვანა მარდას, ჭალასა, ლაშიხევს, მოღნისს, საძელს, ივლიტას, სხვილისს, ქვანჯღალს, წყრუთს, სვირს, ბოგას, ტატანისს, ქლდეს და წნიხსა.

როგორც სჩანს ახალციხის ძველ ქალაქში ჰყოფილი ნაეკლესიებებითგან 24 ეკლესია ყოფილა დიდ-პატარა: მარტო ციხეში 4 ეკლესია ჰყოფილა: 2 მართლმადიდებელთა და 2 სომეხთა: ახლანდელ ციხის საბოროს ადგილას წ. მამა იოსების ეკლესია მდგარა, (რომელიც დაურღვევია ჰაჯი-ფაშას და აია სოფიის ფორმაზედ მიზგითი აუშენებია). ეს ხსენებული ეკლესიები დაურღვევიათ და ციხის კედლებზედ მოუხმარიათ. აგრეთვე ციხის გარე დიდი და პატარა ეკლესიები დაუქცევიათ და თავიანთ მიზგითები, აბანოები, ხანები დაუწკიფიათ, მხოლოდ დაუტოვებიათ 5 ეკლესია: წ. მარინესი, ათაბეგების მონათესაეთ პატივად. აღმართის თავს წ. გაბრიელ მთავარ-ანგელოზისა, არაბთ კათოლიკეთათვის, რომელნიც ყოფილან იერუსალიმის გაარაბებულ ქართველთაგანნი, გარდმოყვანილნი ათაბეგებისგან თავიანთ პატივად; ჯვრის ეკლესია, წ. იკ. ნათლისცემლის და წ. სტეფანეს ეკლესია, კათოლიკების სომხებისთვის ცხის ეკლესიების სამაგიეროდ.

როგორც ქოსტანტინოპოლს გაამრავლეს ოსმალოებმა სომხები ბერძნების მეთვალედ და მოწინააღმდეგედ, ისე თურმე სამესხეთში მისცეს ყოველ ნაირი თარხნობა მესხების სამტროდ: სადაც ფეხი მოუდგიათ ამათ ჩვენს მრთელს, თუ ნაქცევს ეკლესიებში, ხუცური ნაწერები და ამოჭრილი ძეგლები წაუშლიათ და შეუმუსრიათ; როგორც მაგ., მე თითონ შემინიშნავს, წ. ჯვრის ეკლესიაში და ივ. ნათლისცემლისაში, რომელთა მნახველი ცხადათ შეამცნევს, რომ სომხის ეკლესიები ყოფილანო; მაგრამ კი შიდ ნაშთი ხუცური ძეგლი წერილით და მოუშლელად დაშთენილი ტრაპეზის ზედ წარწერაებით დარწმუნდება, რომ ისინი ნამდვილ მესხების ძველის ძველი ეკლესიებია.

სომხებსაეთ მიღებული ყოფილან სომეხთ კათალიკოზებიცა; ესენი რიცხვითაც ბევრით მომეტებული ყოფილან ოცხეს, აწყვერს, ახალქალაქს, ხერთვისს, არტანუჯს, ართვინს და სხვაგანაც..1440-ში, ფლორენციის მსოფლიო კრების შემდგომ, მესხები ორ ნაწილათ გაიყვნენ: მართლმადიდებლად და ქართველ კათოლიკედ.

პირველთაგანი საფარ-ფაშის დროსვე მრავალნი გარდვიდნენ მართლსა და საიმერეთოსაკენ; მეორენი კი დაშთნენ ოსმალოებში, ახალციხითგან აყრილნი გარეთ უბნებში: აწყვერს, დავირს, ციხის ჯვარს, ბირალეთს, ბოგიას, ორჯოს, აბულს, თორიას, ახალქალაქს, წუნდას, ვარძიას, თმოგვს, ხერთვის, ნიჯგორს, ხიზაბიერას, საფარას, ოცხეს, ბოლაქურს, უდეს, არალს, ვალეს, დიღვირს, ალსა, არტაანს, ველსა, არტანუჯსა, სათლელსა, ოლთისსა, შავშეთსა, ტანგათს, ქორძულს, ართვინს, ბორგას, ზუგუბს და სხვაგანაც ბევრგან. ესენი ერთ-ერთის დაჭერით, მოსარჩლობით შეერთებულან ნელ-ნელა სომეხ კათოლიკეებთან ტიბიკონით. ამათი შეერთების უფრო თავი მიზეზნი უნდა იყვნენ ლათინთ იეზუიტების მღვდელ-მონაზონთ ძმობა, დაფუძნილი ქარინში 1680; ამათ დიდი ყურადღება ჰქონიათ მიქცეული ოსმალოს მხრის ქრისტიანებ-

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	— —	24—	„ პენსი
ბერლინი	— —	126—75	ცენტი
პარიჟი	— — —	264—	„ სანტიმი
ვენა	— — —	214—25	ჰფენიგი
ქავკასიის კერასინი	—	— —	

საქართველო

ღღიური

*** 14 აგვისტოს, საღამოს 10 საათზედ კიდევ გაჩნდა ცეცხლი ჩვენს თბილისში, მიხაილოვის ქუჩაზედ, ლამპის დუქანში, (სარდაფში). დაიწვა ათიოდე ფუთი ნავთი და ყუთები, სავსე შუშებითა. ნავთი ძალიან ხელს უწყობდა ცეცხლის გაძრიელებას, მაგრამ იმის წყალობით, რომ თაღი და იატაკი იყო ქვისა, გაძრიელებული ალი ველარ მოედო სახლის შუა ეტაჟას. ამასთან ხალხმა და ცეცხლის საქრობ მაშინამ საჩქაროთ მოაშორეს ყოველივე, რასაც კი ცეცხლი გადაედებოდა და გაანელეს ანთებული ნევთი, რომლის შემდეგაც ცეცხლი სრულიად გაქრა!

*** სომხურ გაზეთში, „მშაკში“, სწერენ, რომ 13 აგვისტოს აქაურ სომხის ახალგაზდა ვაჟებსა და ქალებს ჰქონიათ კერძო კრება ისეთი საზოგადოების შესადგენათ, რომლის მიზნიც იქნება სთარგმნოს საყმაწვილო წიგნები სომხურ ენაზედ. ამ საზოგადოების წესდება შედგენის შემდეგ წარდგენილი იქნება დასამტკიცებლად.

*** „თბილ. მოამბე“ გვაცნობებს, რომ გუშინ, 17 აგვისტოს, შოთიდამ მოუყვანიათ შეიარაღებულ ყარაულთ ქვეშ უბილეთო იმერლები და რაჭველები. თუმცა ესენი ქუთაისში გამოუტარებიათ, მაგრამ ქუთაისის ადმინისტრაციის შეცდომით, ესენი თბილისში მოიყვანეს და აქედამ ისევ ქუთაისში უნდა დაბრუნონ!

„დროების“ კორრესპონდენცია

კახეთი, 17 აგვ. ტოს. მიდის სულთამხუთავი ცხელი ზაფხული და მოდის შემოდგომა, დრო შრომისა კეთილთა და ბოროტთ საქმეთათვის. ეშურება თავის საქმეებს სიცხისაგან შეშინებული და სადღაც დაფანტული ხალხი. თბილისს დაუბრუნდება ამ მოკლე ხანში იმისი მუდმივი წევრები და მოაკლდება მას დროებითი სტუმრები, სხვათა შორის სოფლის მასწავლებლებიც. მოშორდებიან ეს უკანასკნელები თავიანთ დროებით ბინას და წავლენ შკოლებში, სადაც ტანჯვა-წვალება ბევრია და ნამყოფი შრომისა კი თითქმის არაფერი. თქმის ყველა შკოლის მასწავლებლებს აქვს თვალ-წინ ისეთი დამბრკოლებელი, მიზეზი თავის პირ-და-პირი მოვალეობის ასრულების დროს. მაგ. როგორც, უსახლობა თავისთვის და შკოლისათვის და ეგ ისეთი ძნელი რამ არის, სახლი, როგორც იცი მკითხველო ისეთი აუცილებელი რამ არის, რომ ყველაფერზედ ხელი უნდა აიღო სანამ ის არ არის, და რადგან ხალხს სურვილით ვერაფერს გაკეთებინებთ, ამიტომ მასწავლებელს ტყუილად შრომა მოსდის. ბევრი მასწავლებელი მოღლილან ზოგ შკოლებში მხოლოდ იმაზედ ლაპარაკში ხალხთან, რომ სახლი პირველი მოთხოვნილებაა შკოლისთვის. სთხოვენ შემწეობას უფ. მაზრის უფროსებს, რომლებიც დაახლოებით ამგვარ პასუხს მისცემენ: ჩვენი მოვალეობა არ არის ესაო, ხალხს ჩაგონეთ, იმისი სურვილია, თუ უნდა გაკეთებსო; და თუ უნდა მოვალეობაც იყვეს ჩვენი, ბძანებით, ძალდატანებით ხალხს ამგვარ რასმეს ვერ გავაკეთებინებთო. აცნობებენ დირექტორს, რომელიც მისწერს: მაზრის უფროსებსა სთხოვეთ, ისინი შემწეობას მოგცემთ, თქვენც ეცადეთ, სახლი გაკეთებინეთ, რომ სწავლა არ მოცდეთ. უცხო და პატიოსანი! სანამ ამგვარ მოგზაურობაში დროს ატარებდა, ერთ მასწავლებელს ოთხჯერ დაუკეტა შკოლა სახლის პატრონმა და ბოლოს მთელი ერთი თვეც მოაცდენინეს სწავლა; იძულებული იყო უსახლობის გამო, აიღო თავისი ბარგი და წასულიყო, საითაც ჭკუა გაუჭრიდა.

ზედ და უფრო ქართველ კათოლიკეებზედ; მიუციათ ყოველნაირი შემწეობა ფულით, დარიგებით, მოსარჩლობით და ოთხ ყურედ სოფელ-დაბებში გაფანტულ გამოფანტული შეუკრებიათ სომეხთ კათოლიკებთან ერთად და შეუერთებია ტიბიკონითა.

სომეხთ კათოლიკეთაც ახალ-შეძენილი ჩჩვილისათვის ნათვლაში მაშინვე შეუცვლიათ სახელები და სომხური სახელები და სომხურათ ურქმევიათ: ტირაკოსა, მარტიროსა, მარგარა, ორუთენა, ავეტისა, არაქელა, სარქისა, მურადა, ბოზალა, მელიქი, ალაბეგა და ასრეეე ქალების სახელები შეუცვლიათ, ეს ცხადად სჩანს ძველის-ძველს კონდაკის წიგნებითგან. ამის გამო სომხებს სამეხეთში მყოფი სომეხთ კათოლიკენი სომხის ნაციად მიაჩნიათ, მაგრამ დიდად სცდებიან და თუ იყვნენ აქა-იქა, ისიც ხუთში და ათში ერთი ძლივს მოიძევიან. აქ საჭიროდ ვხედამ მოვიყვანო მოკლედ საფარ-ფაშის დროინდელი გვარები ახალციხეში: წალდაძეები, ხუციძეები, ტყავაძეები, ალპაძეები, სალარიძეები, დარბაზიძეები, მაღალოები, რჩეულოები, სუმბატოები, დარამიძები, ისარლოები, ასათიანები, მინდორათი, ნებიერათი, ნარუათი, ასლანათი, ყორღანითი, ბვარათი, ბერეთი, მზექალათი, მალხაზათი მზისანდარათი, პირახელიანთი, პურადათი და სხვ.

ყველა ცხადად დაინახამს, რომ ეს გვარები სომხის გვარებს ასში ერთი არც კი ეკუთვნიან. იმ დროითგან, რაც შემძლე მესხები ჰყოფილან ოსმალოს ქალაქებში, უწყვიათ გარდასახლება ვაჭრობის გულისათვის ტრაპიზონს, აზრუმს, მერდინს, ბალდადს, იზმირს, ისკანდარიას და კოსტანდინეპოლს. ახალი გეოგრაფიულის გამოკვლევით ამბობენ—მარტო კოსტანდინეპოლს 1,500 მოსახლე არიან ახალციხითგან ძველად გარდასახლებულნიო, ისევე კათოლიკეთ დაშთენილნი, მრავალთ ახსოვსთ თავიანთი გვარებიო... ჩემგან ზემოდ მოყვანილი ქართველ-კათოლიკეთ ფაკტათ მხოლოდ ორტაანის ველელმა ქართველ-კათოლიკებმა მოაწიეს ჩვენ დროამდის და 1843 წ. გარდმოვიდნენ ისინიც სომხის ტიბიკონზედა: ახლა ესენი დგანან ჯავახეთს ბარტიკამს, ხულგუმას და ტურცხსა.

1680 წ. ასლან-ფაშის ძემ, უსუფფაშამ ისევ მოიწვია უკანვე ახალციხის მცხოვრებნი გარეთუბნებითგან ვაჭრობის გავრცელებისათვის. ესენი მოვიდნენ თუ არა, ჩამოაცალეს სომხებს ჯერ ნათლისმცემლის ეკკლესია და შემდგომ ჯვრის ეკკლესია. მარტო წ. სტეფანეს ეკკლესია დაშთათ სომხებსა. ამათი მიხედვით შეგულიანდნენ აწყერელები და გარდმოვიდნენ ახალციხეში, ზოგი ხიზაბავრას ავიდნენ და იქ არიან გამრავლებულნი დღესაც. თუმც ახალციხის კათოლიკენი 1,200 მოსახლემდის შემდგარან, გარნა ივლიტა ვაჭრობით უფრო წინ ყოფილა; იქაც 600 მოსახლემდის ყოფილან კათოლიკები. 1700 წ. შემოუტანიათ ლაფნის უცხო პატრებს ჩვენს დედა-კაცებში თეთრი ჩადრი, ეკკლესიაზედ წასვლისა, ან გარედ სასიარულოდ წამოსასხმელად (მანამდის თავშლები ჰქონიათ მოსხმული თავზედა) და აქეთგან გავრცელებულა ქართლის ქალებში ჩადრის ხმარება.

ეს საუკუნე მეტად მავნე იყო ჩვენის ქვეყნისთვის! თითქოს ღმერთმან ჩვენის ცოდვის რისხვად გვიჩინა პირველად აწყერელი ძალიმანჯ-აფენდი, რომელმანც დიდი დევნულება მოახდინა ქრისტიანებზედა საზოგადოდ; უმრავლესნი ძალად გაამაჰმადიანა; ყოველ მხარეს დაარღვევინა ეკკლესიები, ეგეტერები და საჯვრეები, მაგარი ციხე-კოშკები. სადაც სოფლებში ქრისტიანები მაჰმადიანებთან ესახლნენ, მღვდლის შენახვა მოუსპო, ეკკლესიები გაუნადგურა და ერთად შეკრება, სოფლეულად ერთ სახლში, საღოცავად აღუკრძალა; ყველა ქრისტიანს ვალად დასდვა, ყოველ დღე მაინც ერთხელ უნდა დასწრებოდნენ მაჰმადიანებს ლოცვაზედ და მოლლის ვაისზედ (ქადაგებაზედ). ბარდა ამისა შეუჩინა კაცი-კაცსა და ქალი-ქალსა გადასარჯულებლად სარწმუნოებითგან, ან ტკბილობით, ან სხვა-და-სხვა მახე-ფა-

ამგვარი დამაბრკოლებელი გარემოებები ბევრია და ბევრგანაც არის ჩვენს შკოლებში. რამდენი უსიამოვნება, უკმაყოფილება ხდება ამის გამო მასწავლებელთა და საზოგადოებათა შორის; ცხადია, რომ მოსწავლეებზედაც დიდი და ცუდი ზედ-მოქმედება აქვსთ ამ გარემოებებს, დიდი ზედ-მოქმედება აქვს მას ხალხზედაც, რომელიც, - უიმისოთაც გულ-გრილი სწავლისადმი—სულ ხელს იღებს შკოლაზედ. როცა ამას ვამბობ მკითხველს ნუ ჰგონია მე ამით იმას ვამბობდე, რომ საქმეს არაფერი ეშველება-მეთქი. ყველაფერი გაკეთდება, მაგრამ ბევრი თავის ტეხის და დროს დაკარგვის შემდეგ; მე ვამბობ, რომ ძნელ, მძიმე საქმეს უნდა მოჰკიდონ ხელი სოფლის მასწავლებლებმა ამ ცხელის, სულთამხუთავის ზაფხულის შემდეგ და რომ ამდენ დავიდარაბას ეწევიან მასწავლებლები, ამის სამაგიეროდ ისინი ნახევრად მშივრები არიან ჯამაგირის სიცოტავის გამო.

მე როდი ვარ!

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

— სტამბოლიდამ აცნობებენ ტელეგრამმით 6 მარიმობისთვეს „პოლიტიკურ კორრესპონდენციას, რომ „ბოლის ოკრულის, მაკრინიცის მცხოვრებმა მიჰმართეს რამოდენიმე ელჩებს საჩივრით იმაზედ, რომ ოსმალეთის მფლობელები ახლევინებენ იმათ წარსული წლების ნედიმიკებს, ძალდატანებით ახლევინებენ როგორც მებატონეების ბეგარას; ასი მოქალაქე დაატუსაღეს, რადგანაც ამის წინააღმდეგნი იყვნენ. მცხოვრებლები თხოულობენ ან დაიხსნან ამისთანა შეწუხებისაგან და ან მისცენ შემწეობა გადასახლებისა?

— სტამბოლიდამ ტელეგრამმა 3 აგვისტოდამ ამბობს:

„ბუშინ, ოსმაღეთის მინისტრმა—პრეზიდენტმა გამოუცხადა რუსეთის ელჩს, რომ სულთანმა უნდა ბოლო მოუღოს იმპერიის მტრულ დამოკიდებულებას, აღძრულს აღმოსავლეთ რუმელიის ღენერალ-ღუბერნატორისაგან. ამისათვის აღმოსავლეთ-რუმელიის საქმეები ამ მოკლე ხანში ყველა სახელმწიფოებს საქმეებს გაუჩენენ. მაკედონიაში ინსურგენტების წინააღმდეგ მომქმედი არმია, აჯანყების დაცხრომის გამო, დათხოვნილია; ამათგან 2,000 კაცი ახალ-ბაზრისკენ წავიდა; დანარჩენები კი აღმოსავლეთ—რუმელიის სამზღვრებისკენ.“

— ბელგრადიდამ აცნობებენ ტელეგრამმით გაზეთს **Times**-ს 1 აგვისტოს, რომ „ალბანიელები შეიდნენ სერბიელების მიწებში ს. სლიჩამდისინ. როგორც ამბობენ, ალბანიელები 15,000 კაცი იყო; ამათ დაეცნენ სერბიის სამი ბრიგადა და გააცილეს სამზღვარს გარეთ. მღელვარება დამშვიდდა. რუსეთ გაიგეს, რომ ესენი ჩვეულებრივი ყაჩაღები ყოფილნენ. ყოველივე შემთხვევაში ეჭვი აქვსთ, რომ ამგვარი ხშირი თავს დასხმა ალბანიელებისა მოასწავებს იმათ განზრახვას საომრად.“

— პორტამ მიიღო ცნობა მარნიდამ, რომ იქ ვითომ 15 მილიონი პატრონები დაუცლიათ, რომელიც რამდენიმე თოფებითურთ დაუთმია რუსეთს ბოლგარიის სამმართველოსთვის.“

განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

სახალხო საეკლესიო წიგნი

ქარაგადინი

შედგენილი

მღ. დავით ღამბაშიძისაგან.

გამოცემა პირველი.

ფასი გაგზავნით უყდოთ ერთი მანეთი, ყდით ექვსი აბაზი.

წიგნის ყიდვა შეიძლება:

თ ფ ი ლ ი ს შ ი—ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

ქ უ თ ა ი ს შ ი—სიმონ ცერვაძის მაღაზიაში (გიმნაზიის მახლობლად).

თერაკების მოდგმით; ძალად ეგლისებოდნენ, ასტეხდნენ უბრალო ჩხუბს გულ-მართალ ქრისტიანეთ და თუ ამ შემთხვევაში ერთი რამე უკადრისი სიტყვა წაეცდინათ პირიდგან, მაშინვე ხელზედ დაიხვევდნენ სჯული გვაგინაო! ბახურდებოდა იმ წამსვე ცეცხლში სპილენძის თასები და ან უნდა ქრისტესთვის დასჯილ იყო, ან ცოლ-შვილით უნდა გამაჰმადიანებულ იყო. ასრეევ სინიდისისგან ხელ-აღებული დედაკაცები ეშმაკად გარდაქცეულ იყვნენ, ვის ქმარს აძულებდნენ, ვის ახალ გასათხოვარს ქალი შვილს მშობლებისგან ხელს აღებინებდნენ, ვის მაჰმადიანების შვილებს ატაცვინებდნენ, სად ქმრისა და ცოლის შუა ჭირად შედიოდნენ; უდგათ ყოველგან ესრეთი ვაი-ვაგლახი, ოხრება და დაქცევა!

ძალიმანჯმანვე მოაყვანინა ასიოდე მოსახლე ლეკები და ჩააყენა აწყვერის ქრისტიანების ადგილ-სადგომს ცოლ-შვილიანად და მის მახლობლად. მეორე რისხვა ეს იქმნა, რომ 1708 წ. უსუფ-ფაშის ძემ, ისააყ-ფაშამ, შეჰკრა კავშირი ლეკებთან და მოიპირა ახალციხისაკენ საქართველოს. საიმერეთოს და ჯავახეთის ქრისტიანეთ სარბეველად. ამათ უჩინა საბუნაგლოდ სანაპირო ციხე-კოშკები ტყე-ღრეებში, ხეკობისაკენ, ციხის ჯვარი და ზოგიას ციხე. ჯავახეთისაკენ მოროლლისა და ფარაზის ციხე, ქვაბლიანისკენ ალთუნყალა და ოცხის ციხე.

ეს ოსმალების შეთქმულება გააგებინეს მესხებმა ქართველებსა. 1715 წ. მეფე ალექსანდრემ თავის სპასპეტი ლუარსაფი გაალაშქრა ქართველ კახთ მხედრობითა სათარეშოდ გამოზვავებულ დიდ-ძალს ლეკის ჯარზედა მაღაროსაკენ. პირველ-წყობისა ძლიერად შეებნენ ქართველ-კახნი მტერსა და გააქციეს, გარნი მიდევნებისა მაღაროს ბოლოს ბუსუნში ჩასაფრებულ ლეკთ შემოუტიეს და დამარცხეს მეტად ქართველ-კახნი. ამ ნაირი ხელობა დაემართათ ორი წლის შემდგომ ქართველთა ბოლნისების აკვლა-აოხრებისა ლეკთაგან... შეჰყვენენ ასრე მუდამ წელს, ცოტას თუ ბევრს თავპირ მტვრევა—ოხრებას არ აკლებდნენ საქართველო-საიმერეთოსა; ჯავახეთს ხომ ნელ-ნელა ბოლო მოუღეს. მაშინ თქმულა ეს ლექსი:

ბარალეთს ადოვა-შვილსა სუფრა გაეგდო გძელია,
ლეკები ჩამოუცვინდნენ, კარზედ დაუბეს ცხენია,
ადე, ბიჭო, გაიხედეთ ჩვენი აქ დგომა ძნელია!..
ნუ გეშინიათ, ბიჭებო, ტყვია-წამალი ბევრია,
ბათენებამდის ვისროლოთ, ცას მიადგება გენია...
ბოკიას ცეცხლი ეკიდვის, შიდ მოიხალოს ქერია,
ძალი და რძალი წაასხეს სულ გულით სანატრელია,
ბაჟი კაცები დახოცეს, ცხენრულებ გამოსჭრეს ყელია!...

ბარდა ამისა ოსმალოებმა საქართველო-საიმერეთოს და მათ წვრილ სამეფო სამთავროთა შუა ჩააგდეს სიმძულვარე ავ ენიანი პირობის წყალობითა. ამის გამო სხვა ღონე არა ჰქონდათ რა, უეჭველად უნდა მიეცათ ახალციხის ფაშების ჰოქმებისათვის ნელ-ნელა მსვლელობის გზა-კვალი და ასრეც იქმნა. ისევ თავიანთ ქრისტიანებითგან ტყდებოდნენ მუდამ დღე. მით ვისაც უნდა გააკეთებინებდნენ, ვისაც არა და არა!.. ეს იყო მიზეზი VI ვახტანგ მეფის განშორებისა თავისი ტკბილის სამშობლოსაგან; მისი რჩევითვე წავიდა თ. სბა ორბელიანი ევროპაში; იცოდა, რა მიზეზითაც განწირულ ვიყავით ევროპიელი მეფე ხელმწიფებისაგან და უნდოდა იმ მიზეზის მოკვლით ჩვენი ძალის გაახლება, ვინ იცის, იქნება მათი წყობილობა დაგვირგვინებულიყო?

ვინმე მესხი-

ახალციხე, 20 ივლისს.

Ахал-Сенакში — Благовѣщенскій Сисордиасთან.

Зугдидში—Благовѣщенскій Мих. Мегунаргиасთან.

Лечхумში (Лаилашი) —Благовѣщенскій Иларіонთან Берсамиасთან.

Сачхерეში—Уарамან Чхеидзесთან —Сасოფლო Школაში.

Горში—Павле Бурджанадзесთან (Сასულიერო Сასწავლებელში).

Уцირილაში—Благовѣщенскій Давит Гамбашидзесთან.

Дабარება შეიძლება თვითონ გამომცემლისაგან, მღ. Д. Гамбашидзисაგან (д. Цвирилидამ), ამ адресით: Въ м. Квирилы (Кут. губ.). Священнику Давиду Гамбашидзе. Ვინც ათ ეგზემპლიარზე მეტს დაიბარებს, მანეთზე ორი შაური დაეთმობა.

„Иверіის“ редакція აცხადებს, როგორც სურს ნახევარი წლის ჟურნალი მიიღოს Ивлисიდამ, შეუძლია დაიბაროს შემდეგის პირობით:

Тфილისში მცხოვრებლებს 5 м. 50 к.
Გარეშე მცხოვრებლებს — 6 м. 50 к.

Ვისაც 1 ნომრიდამ უნდა მიიღოს მთელი წლის ნომრები, ამ პირობით დაიბაროს:

Тфილისში მცხოვრებლებს 11 м.
Გარეშე მცხოვრებლებს — 12 м.

Адреси: Тфილისი, Сололаки, Ქონსულის ქუჩა № 4 და Чарკვიანის წიგნის მაღაზია.

Мოვიტანე დიდ-ძალი ფიცრები ФИЧВИСА და НАДВИС ХЕБИСА კარების, ფანჯრებისა და იატაკებისათვის. Сრულებით მშრალი ფიცრებია, ოთხი წლის დახერხული.

Вისაც ამ ხის მასალის შეძენა ჰსურს შეუძლიან მიმართოს Арсенალის ქუჩაზე-Фულინოვის სახლებში № 31; იკითხოს Уф. Валериან Чეჩუტი.

ЖУТАИСИС ДАЛАДИС ГАМГЕОБА, შეუდგა რა მომავალის ქრისტიანობის თვეში ДАЛАДИС САМАРТВЕЛОС АМОМРЧЕВЛЕБТА СИЕБИС ШЕДГЕНЕАС, საყოველთაოდ აცხადებს, რომ მომავალს ღვინობისთვის პირველ რიცხვამდინ, იქნეს შემოტანილი მცხოვრებთაგან ქალაქის სასარგებლოთ ხვედრი გარდასახადი, ყოველი გვარი გარდასახადისა, ვიდრე 1880 წლამდე, რადგან 1964 სტ. II ტ. ნაწ. I გამოც. 1876 წ. ძალით, სხვათა შორის, გარდასახადის გარდუხთევნელობაც ართმევს მცხოვრებთ ხმის უფლებას.

Гამგეობის წევრი: Из. Месხი.

КАЛЕНДАРИ

ФАСИ 20 КАПЕიკი

Შედგენილი Ив. Лბაძისაგან და გამოცემული Ил. ხელაძისაგან.

Тфილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. Зორში: ძმოვევის მაღაზიაში. Жუთაისში: ج. Месხის წიგნის მაღაზიაში და Лორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. Ფოთში: Мელისარ Бაბალოვთან, Ოზურგეთში Грიგოლ Ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

Вინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს მმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთობათ.—

ИСУИДება უ. Чარკეიანის წიგნის მაღაზიაში

„ДРОЕБის“ ФОЧТА

Зდს, უ. ج. Лაძე.—Тქვენს წერილი, სამწუხაროდ, ვერ დაიბეჭდება, რადგანაც ერთობ წვრილმან საგანზედ გადევნებაა. Зთხოვთ განაგრძოთ წერა სხვა, უფრო შესანიშნავ მოვლენებებზედ.

Сს, Т...ე-ს. Тქვენი „Жმარი და ცოლია“ არ დაიბეჭდება. Умჯობესი იქნებოდა, გამოგზავნოთ უფრო საჭირო ცნობები, რომლებიც დაუყოვნებლივ დაიბეჭდებიან.

Жს. „Жუთაისელ ვინმეს.“ Тქვენი ერთი და იგივე წერილები ორივე მივიღეთ, მაგრამ...არა ღირს ამდენი ლაპარაკი იმისთანა რამეზედ, ან ვინმეზედ, როგორც თქვენი აყვანილი „დიდ-გულა ბატონი“! Зთხოვთ, სხვა რამეები მოიწეროთ!

Тვს. „Мნახველ Ა. Мერცხალაძეს. Тქვენი ვინაობა გვაცნობეთ; ისე არ დაიბეჭდება ისეთი რამე, როგორც თქვენი მოწერილი.

Оთს. „Ერთ ვინმეს.“ Тქვენი წერილი საკვლა მხოლოდ მანდაური მცხოვრებლების სახელებით და გვარებით. Зმადლობთ მცხოვრებთა რიცხვის ცნობებისათვის!

Сს—ღს. Иაბოს. Вინა ბრძანდებით, არ შეიძლება ვიცოდეთ? Маშინ დაიბეჭდება თქვენი ორივე წერილი!

Сს—ლოს. „Ахал ინგილოს“. Рაც ითქვა, ითქვა, რალა საჭიროა დამატება და გაგრძელება! Ეყოფათ, თუ შეისმენენ!

Иქვე. У. Ж. Жს. Вერ გავიგეთ, რას იწერებით! Дასასრულიც არ მიგვიღია და ისე დასაწყისი არ დაიბეჭდება.

Пს—Wიე—ძეს. Иმიმთანა რამე, რასაც თქვენ იწერებით, ამ მოკლე ხანში დაიბეჭდა „Дროებაში“. Зამეორება მეტი იქნება.

Рკ. Зზა.	Дილა.		Сალამ.		II к.		III к.	
Тфილისი . .	9	21	5	18	м	к.	м.	к.
Мცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
Зორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
Хაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
Сურამი . . .	1	44			4	90	2	61
Уцირილა . .	5	49			7	21	3	69
Рიონი. . . .	6	57			8	44	4	31
Самტრედია .	7	51			9	66	4	93
Ахал-Сенაკი	8	43			10	71	5	47
Фოთი. . . .	9	50			12	24	6	26
Фოთი	9	3						
Ахал-Сенაკი.	10	14			1	53	-	78
Самტრედია .	11	5			2	61	1	33
Рიონი . . .	12	13			3	84	1	97
Уцირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
Сურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
Хაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
Зორი	7	5	4	8	9	24	4	73
Мცხეთა . .	8	50	6	59	11	39	5	82
Тфილისი. .	9	31	7	56	12	24	6	26

ТЕЛЕГРАФი

	Мან	Кап.
Оცი სიტყვა Тфილისიდამ.		
Кავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
Ростოვს, Одესას, Мოსკოვს,	2	—
Პეტერბურგს, Варшავ. . . .	2	—
Оსმალეთში, Შვეიცარიაში .	3	—
Иტალიაში და Საფრანგეთში .	3	50
Инგლისში.	3	75

ФОЧТА

ა) Тфილისიდამ: Самზღვარგარეთ, Жუთაისს, Рუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. Зუგდ. ორშ. და ხუთშ. Оზურ.—პარასკ. და ორშ. Ахეთს—სამშ. და შაბ. ბ) Жუთაისიდამ: Тфილისისა და Фოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. Оზურგეთს—ორშ. და პარასკ.

Წიგნის გაგზავნა Рუსეთში და Самზღვარ გარეთ:	Кап.
Лია წიგნის	3
Дაბეჭდილის (სამი მისხალი) .	7

МАЗАНДА

	Мან	Кап.
Тфილისი 9 აგვისტ.	—	—
Фქვ. თეთ. Занჯისა ფუთ.	2	40
Жქვ. წითელი . .	1	70
Жერი ფუთი . . .	1	40
Зამბა Ერევნისა, ფუთი.	8	20
—Америкისა, ფ. ფუთ .	9	50
Зაენტილი ბამბა ფუთი.	10	70
Маტული თუშური ფუთი.	8	40
—Тრაქმისა ფუთი .	3	80
Аბრეშუმ. ნუხური სტ.	2	10
Жონი ფუთი . . .	5	60
Жონის სანთელი ფუთი.	6	80
Სტეარინის სანთელი ფ.	12	—
Хორცი ძროხისა .ლიტრა	—	—
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	—
Сპირტი ვედრო . . .	4	50
Шაქარი ბროც. ფუთ .	7	5
—ფხვნილი ფუთი .	5	60
Уავა რგვალი გრვ. .	—	60
Зეთი ქუნჯუთისა ფუთი.	13	60
Тამბაქო საშუალო ფთ.	6	70

ТФИЛИСИС САМКУРНАЛО.

Ერევნ. მიდ., Wინამძღვაროვ. სახლი.

Авათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

Орშაბათს: Лისიცევი და Бარლევიჩი—Шინაგ. ავათმყოფობის.

Самშაბათს: Ვერმიშევი და Бაბოვი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.; Рეიხი—თვალის, Жურავლევი—კანისა და ვენერიულის, Бახუტოვი—ქალისა და ბავშვების.

Оთხშაბათს: Лისიცევი—Шინაგ., Бაბაევი—ნერვების.

Хუთშაბათს: Ვერმიშევი—Шინაგ. ავათმყ. და Жურავლევი—კანის და ვენერიულის.

Пარასკევს იქნებიან: Лისიცევი, Бაბოვი, Бაბაევი და Бახუტოვი.

Шაბათს: Ვერმიშევი, Рეიხი და Жურავლევი.

Оრბეტი — კბილის ექიმი და Бაბაევი მიიღებენ შინ, ღარიბებს მუქთად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Августъ 1879 г. Типографія Меликова. Редакц. С. Мелиქიშვილი. Рედ. С. Месხი.